დანართი 1

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

_____

დამტკიცებულია 27.12. 2023 ბრძ. N126

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას და დატვირთვას.

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი შემუშავებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. პერსონალის სახეები

1. უნივერსიტეტში არსებობს პერსონალის შემდეგი სახეები:

   1.1 პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

   1.2 ასოცირებული პროფესორი – უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

   1.3 ასისტენტ-პროფესორი - უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;

   1.4 ასისტენტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;

2. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. დატვირთვის, ფუნქციების და შრომის ანაზღაურების მიხედვით განასხვავებენ პერსონალის შემდეგ სახეებს:

   2.1 აფილირებული აკადემიური პერსონალი.

   აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც აკადემიური თანამდებობის მქონე პირი თავის აფილირებას განსაზღვრავს უნივერსიტეტთან: უნივერსიტეტის სახელით

მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში; უნივერსიტეტში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას; მისი კვლევები ხორციელდება უნივერსიტეტის სახელით, სამეცნიერო სტატიები/ წიგნები/მონოგრაფიები ქვეყნდება უნივერსიტეტის სახელით; აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევის და აკადემიური/ სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესში.

2.2 აკადემიური (არააფილირებული) პერსონალი.

აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული: უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების, სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის პროცესებში.

2.3 სამეცნიერო პერსონალი/მკვლევარი, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ჩასატარებლად (კვლევა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას) იწვევს შესაბამისი სკოლა.

2.4 მოწვეული პერსონალი - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც მოწვეულია უნივერსიტეტში სასწავლო/ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის.

3. აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა გადანაწილებულია სხვადასხვა კომპონენტზე:

3.1 სასწავლო საქმიანობა გულისხმობს პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას, მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამის /პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების პროცესებში; სააუდიტორიო დატვირთვას, სასწავლო/საგამოცდო მასალების მომზადებას, ნაშრომების შემოწმებას, სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავება-განახლებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, სტუდენტების უზრუნველყოფას თანამედროვე სასწავლო რესურსებით (სახელმძღვანელო, საკითხავი მასალა და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზირებას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელობას; სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევას სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით საკითხებთან დაკავშირებით, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას და სხვა აქტივობებს, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად.

3.2 დატვირთვის სქემაში სასწავლო კომპონენტის მოცულობა უნდა ითვლისიწინებდეს არამხოლოდ უშუალოდ საკონტაქტო საათებს, არამედ ამ საკონტაქტო საათებისთვის მოსამზადებელ დროსაც. თანაფარდობა მათ შორის: 1 საკონტაქტო საათი/1 საათი მოსამზადებელი დრო.

3.3 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გულისხმობს სამეცნიერო კვლევების, საგრანტო პროექტების მომზადებასა და განხორციელებას; სამეცნიერო სტატიების, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების მომზადებასა და გამოქვეყნებას, რედაქტირებას, რეცენზირებას, თარგმნას; კვლევებში სტუდენტების ჩართვას და მათ ხელმძღვანელობას; სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა /რეცენზირებას; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზების პროცესში ჩართულობას და სხვა აქტივობებს, რაც ადასტურებს პირის მონაწილეობას სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში.

3.4 გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა გულისხმობს სკოლისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, სადისერტაციო საბჭოსა და დროებითი კოლეგიური ორგანოების (კომისია) მუშაობაში მონაწილეობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ჩართულობას და სხვა სახის აქტივობებს, რაც აუცილებელია უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის უზრუნველსაყოფად.

4. საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის, ფუნქციების და შრომის ანაზღაურების მიხედვით უნივერსიტეტში არსებობს შემდეგი სახის ხელშეკრულებები:

4.1 „ა“ კატეგორიის ხელშეკრულება - აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის 12 თვიანი სახელფასო ანაზღაურებით;

4.2 „ბ“ კატეგორიის ხელშეკრულება - აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის საათობრივი ანაზღაურებით;

4.3 „გ“ კატეგორიის ხელშეკრულება - აკადემიური პერსონალისათვის (რომელიც არ არის აფილირებული) საათობრივი ანაზღაურებით;

4.4 „დ“ კატეგორიის ხელშეკრულება - მოწვეული პერსონალისათვის საათობრივი ანაზღაურებით.

5. „ა“ კატეგორიის ხელშეკრულება

5.1 „ა“ კატეგორიის ხელშეკრულება ფორმდება უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც მონაწილეობს საგანამანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების პროცესებში, რომლის საქმიანობა და დატვირთვა ორიენტირებულია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე, ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვაზე, გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიურ მონაწილეობასა

და მოქმედი კანონმდებლობით/უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობაზე. „ა“ კატეგორიის ხელშეკრულება ითვალისწინებს 12 თვიან სახელფასო ანაზღაურებას.

5.2 „ა“ კატეგორიის ხელშეკრულების ფარგლებში პროფესორის დატვირთვაა:

5.2.1 კვირაში 8 საკონტაქტო (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, ჯგუფში მუშაობა და სხვ.) და 4 სთ საკონსულტაციო საათის ჩატარება;

5.2.2 პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა - კვირაში 6 საათი;

5.2.3 სამეცნიერო საქმიანობის შესრულება - კვირაში 8 სთ;

5.2.4 ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი საქმიანობა - კვირაში 4 სთ.

5.2.5 დავალებების/ტესტების და ა.შ. გასწორება - კვირაში 2 სთ;

5.3 „ა“ კატეგორიის ხელშეკრულების ფარგლებში ასოცირებული პროფესორის დატვირთვაა:

5.3.1 კვირაში 10 საკონტაქტო (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, ჯგუფში მუშაობა და სხვ.) და 4 საკონსულტაციო საათის ჩატარება;

5.3.2 პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა - კვირაში 4 საათი;

5.3.3 სამეცნიერო საქმიანობის შესრულება - კვირაში 7 სთ;

5.3.4 ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი საქმიანობა - კვირაში 3 სთ;

5.3.5 დავალებების/ტესტების და ა.შ. გასწორება - კვირაში 2 სთ;

5.4 „ა“ კატეგორიის ხელშეკრულების ფარგლებში ასისტენტ-პროფესორის დატვირთვაა:

5.4.1 კვირაში 12 საკონტაქტო (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, ჯგუფში მუშაობა და სხვ.) და 5 საათი საკონსულტაციო საათის ჩატარება;

5.4.2 პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა -კვირაში 3 საათი;

5.4.3 სამეცნიერო საქმიანობის შესრულება - კვირაში 4 სთ;

5.4.4 ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი საქმიანობა - კვირაში 2 სთ;

5.4.5 დავალებების/ტესტების და ა.შ. გასწორება - კვირაში 2 სთ;

5.5. „ა“ კატეგორიის ხელშეკრულების ფარგლებში ასისტენტის დატვირთვა მოიცავს:

5.5.1 კვირაში 6 საკონტაქტო საათის ჩატარებას (სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, პროფესორის ასისტირება და სხვ.);

5.5.2 პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა -კვირაში 3 საათი;

5.5.3 სამეცნიერო საქმიანობის შესრულებას -კვირაში 4 სთ;

5.5.4 ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი საქმიანობა - კვირაში 2 სთ.

5.5.5 დავალებების/ტესტების და ა.შ. გასწორება - კვირაში 6 სთ;

5.5.6 პროფესორის ასისტირება - კვირაში 13 სთ.

6. „ა“ კატეგორიიის ხელშეკრულების ფარგლებში აფილირებული აკადემიური პერსონალის ყოველკვირეული საათობრივი დატვირთვა თუ შეადგენს 5.2.1, 5.3.1, 5.4.1, 5.5.1 პუნქტებში მითითებული სავალდებულო საათების რაოდენობაზე მეტს, დამატებითი საათების ანაზღაურება მოხდება საათობრივი ანაზღაურების წესით შეთანხმების საფუძველზე.

7. აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან, რომელსაც არ უგროვდება 5.2.1, 5.3.1, 5.4.1, 5.5.1 პუნქტებში მითითებული საათების რაოდენობა, გაფორმდება „ბ“ კატეგორიის ხელშეკრულება.

„ბ“ კატეგორიის ხელშეკრულება ფორმდება უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც მონაწილეობს საგანამანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების პროცესში, რომლის საქმიანობა და დატვირთვა ორიენტირებულია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე, ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვაზე, გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიურ მონაწილეობასა და მოქმედი კანონმდებლობით/უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობაზე, რომელთა ანაზღაურება განისაზღვრება დანართი 1-ის შესაბამისად.

8. აფილირებული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ამავდროულად იკავებს უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობას, აკადემიური საქმიანობის დატვირთვას ასრულებს მხოლოდ ნახევარი განაკვეთით.

9. განსაკუთრებული პრაქტიკული/სამეცნიერო მიღწევების მქონე პერსონალთან შესაძლებელია გაფორმდეს ინდივიდუალური ხელშეკრულება, რომელიც განსხვავებულად განსაზღვრავს აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვას.

10. უნივერსიტეტი წელიწადში არანაკლებ ერთხელ აფილირებულ აკადემიურ პერსონალს დაუფინანსებს უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში სამეცნიერო კვლევების ორგანიზების, სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო ნაშრომის (მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, თარგმანის, სტატიის და სხვა) გამოცემის ხარჯებს.

11. „გ“ კატეგორიის ხელშეკრულება

„გ“ კატეგორიის ხელშეკრულება ფორმდება აკადემიურ პერსონალთან, რომელიც არ არის აფილირებული პერსონალი და მისი საქმიანობა ანაზღაურდება სემესტრული დატვირთვისა და სხვა სახის აქტივობების შესაბამისად, რაც აუცილებელია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესისა და მართვის პოლიტიკის

უზრუნველსაყოფად დანართი 2 -ის შესაბამისად.

12. „დ“ კატეგორიის ხელშეკრულება

„დ“ კატეგორიის ხელშეკრულება ფორმდება მოწვეულ პერსონალთან და მისი ანაზღაურება მოხდება რეალურად განხორციელებული სამუშაოს შესაბამისად, რომელიც მოიცავს:

5.5.1 საკონტაქტო და საკონსულტაციო საათებს;

5.5.2 პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას;

5.5.3 შუალედური და დასკვნითი გამოცდების ნაშრომების გასწორებას.

13. მოწვეულ პერსონალს დამატებით აუნაზღაურდება სემესტრის განმავლობაში შესრულებული სამუშაო „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესის“ დანართი 2-ის შესაბამისად.

დანართი 1

„ბ“ კატეგორიის ხელშეკრულების აფილირებული პერსონალის შრომის ანაზღაურება

დატვირთვის კომპონენტი	ანაზღაურების ოდენობა სემესტრულად
პროგრამის ხელმძღვანელის მუშაობა პროგრამის განვითარებაზე	სემესტრში 300 ლარი
პრაქტიკის ხელმძღვანელობა	100 ლარი
საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	100 ლარი
სამაგისტრო ნაშრომის ხემძღვანელობა	150 ლარი
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა	წელიწადში 300 ლარი
საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირება	40 ლარი
სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება	60 ლარი
სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება/ექსპერტიზა	150 ლარი
უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო ნაშრომის მომზადება და გამოქვეყნება	100 ლარი
უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო კონფერენციის მომზადებაში	100 ლარი

მონაწილეობა/ საკონფერენციო თემის მომზადება	
უნივერსიტეტის სახელით მონოგრაფიის მომზადება/გამოცემა	300-500 ლარი
უნივერსიტეტის სახელით სახელმძღვანელოს მომზადება/გამოცემა	200-300 ლარი

დანართი 2

„გ“ კატეგორიის ხელშეკრულების აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება

დატვირთვის კომპონენტი	ანაზღაურების ოდენობა სემესტრულად
პროგრამის ხელმძღვანელის მუშაობა პროგრამის განვითარებაზე მუშაობა	200 ლარი
პრაქტიკის ხელმძღვანელობა	100 ლარი
საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა	100 ლარი
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა	150 ლარი
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა	წელიწადში 300 ლარი
საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება	40 ლარი
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება	60 ლარი
სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება/ექსპერტიზა	150 ლარი